სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია (შემდგომ - „აკადემია“) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს აკადემიის სამაგისტრო პროგრამას.
2. აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მიღწევების შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების, ასევე სტუდენტთა უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა ან მობილობის უფლებით სარგებლობა ხორციელდება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 2. სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის სტუდენტი

1. აკადემიის სტუდენტი (მსმენელი), აკადემიის წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება იყოს სამოქალაქო პირი ან სამსახურის მოსამსახურე.
2. აკადემიის სტუდენტზე ვრცელდება შესაბამისი უფლება-მოვალეობები, რაც განისაზღვრება წინამდებარე წესითა და აკადემიასა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით.
3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიის სტუდენტთან (მსმენელი) გაფორმებული ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სტუდენტისათვის დადგენილი უფლებები, მათ შორის, უფლება, აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, მაგისტრატურის და აკადემიის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, ასევე, თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად, ან ისარგებლოს თვითმმართველობასთან დაკავშირებული სხვა უფლებით.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდასა და აკადემიის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

2. მაგისტრანტობის კანდიდატმა სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე.
3. აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე პირის მიღების წესი განისაზღვრება აკადემიის რექტორის მიერ დადგენილი წესით.
4. აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესი წინაპირობები აისახება სამაგისტრო პროგრამაში.
5. აკადემიის სტუდენტი სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით, გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას ყოველი სემესტრის დაწყებამდე.
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება აკადემიის რექტორის ბრძანებით.
7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სემესტრულ რეგისტრაციას, რითიც ადასტურებს მიმდინარე სემესტრში სასწავლო პროცესში მონაწილეობის მზაობას.
8. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას, რაც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით, ან სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 4. სტუდენტის დატვირთვა და შეფასება

1. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
2. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი. კრედიტი გამოხატავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში და აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და მოიცავს სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში.
3. საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.
4. დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.
5. სტუდენტის სრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
7. სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასაშვებია სწავლა-სწავლების პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესაძლოა მოიცავდეს 30 (ECTS) კრედიტს.

8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტის მაქსიმალურ შეფასება 100 ქულის ტოლია და წარმოადგენს შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასების ჯამს, რაც წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.
9. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
10. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.
11. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
12. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
13. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
14. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
15. შეფასების სისტემა უშვებს:
    ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
        ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
        ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
        ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
        ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
        ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
    ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
        ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
        ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

16. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
17. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
18. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

19. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
20. სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4-ბალიანი ეკვივალენტით - საშუალო შეწონილი ქულით (GPA), რომელიც ანგარიშდება შესაბამისი წესით.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის ცვლილება

1. აკადემიის სტუდენტს უფლება აქვს:
   ა) ისარგებლოს მობილობით;
   ბ) შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი.
2. სტუდენტის მიერ მობილობის უფლებით სარგებლობა ხორციელდება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. აკადემიის სტუდენტთა მობილობის პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველო.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან დროებით განთავისუფლება და აკადემიასა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების მოქმედების შეჩერება სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
   გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
   დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
   ე) მოქმედი კანონმდებლობით და საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.
7. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს აკადემიის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის განმავლობაში.
8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება მისი პირადი განცხადების საფუძველზე, ან სტატუსის შეჩერების სხვა მიზეზის აღმოფხვრის შედეგად.
11. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენიდან ხუთი დღის ვადაში სისტემაში შესაბამისი მონაცემების ასახვას.
12. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
   გ) დაწესებულებისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
   დ) ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით;
   ე) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
   ვ) აკადემიური ჩამორჩენა - სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის (2 დამატებითი სემესტრი) გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე;
   ზ) გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ (გარდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“და „ზ" ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეწყვეტის შემთხვევებისა) და დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად, რა დროსაც სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
2. სახელმწიფო უსაფრთხოების ფაკულტეტი (მთავარი სამმართველო) უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
3. კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება დიპლომით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.
4. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს აკადემიის რექტორი.
2. სტუდენტსა და აკადემიას შორის დადებული ხელშეკრულებით შესაძლოა დაზუსტდეს წინამდებარე წესის გარკვეული პირობები, სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები.